ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტი



პროფესორი ზურაბ კაკაბაძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასისტენტ-პროფესორი მარიამ კაკაბაძე

ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტი (2016 წლამდე - კლინიკური ანატომიის დეპარტამენტი) საწყისს იღებს ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრიდან, რომელიც დაარსდა 1935 წელს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში.

1935 წლიდან 1947 წლამდე, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრას განაგებდა მისი დამაარსებელი, პროფესორი დ. იოსელიანი. ასისტენტებად არჩეულ იყვნენ: მ. სრესელი, ვ. ქურდოვანიძე, შ. ქევანიშვილი და მ. დანელიანი.

შემდგომ წლებში, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრას განაგებდნენ: პროფესორი შ. თოიძე (1947 – 1954); პროფესორი ს. კახიანი (1954 – 1958); პროფესორი ვ. ქურდოვანიძე (1958 – 1980); პროფესორი ს. კახიანი (1980 – 1992); პროფესორი ი. კუზანოვი (1992 – 1996); პროფესორი ა. ინაური (1996 – 2000); პროფესორი ზ. კაკაბაძე (2000 – 2006). 2006 წელს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გაერთიანების შემდეგ, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრამ შეიცვალა ლოკაცია და გადავიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში კლინიკური ანატომიის დეპარტამენტის სახელწოდებით. 2006 წელს, პროფესორი ზ. კაკაბაძე არჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ხემძღვანელად.

2016 წელს, კლინიკური ანატომიის კათედრას შეეცვალა სახელი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტი ეწოდა. ამავე წელს, პროფესორი ზ. კაკაბაძე არჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ხემძღვანელად.

ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტი ახორციელებს დიპლომამდელ და დიპლომისშემდგომ საფეხურებზე სწავლებას. დიპლომამდელი განათლების პროგრამა კლინიკურ ანატომიაში განკუთვნილია მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი:

დეპარტამენტის ხელმძღვანელი – პროფესორი ზურაბ კაკაბაძე, ასისტენტ – პროფესორი მარიამ კაკაბაძე, ლაბორანტი – კონსტანტინე კალანდარიშვილი.

მოწვეული პედაგოგები:

ლია ყარალაშვილი, ნატალია მელაძე, კონსტანტინე ჩუტკერაშვილი, კონსტანტინე ჩახუნაშვილი.

დეპარტამენტის ბაზაზე ტარდება მრავალი ინოვაციური სამეცნიერო კვლევა, რომლებიც მოიცავს ქსოვილისა და ორგანოების ბიოინჟინერიას, ორგანოების ელექტროსპინინგსა და პრინტინგს.

ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტი

2006 წლიდან, დეპარტამენტში მიმდინარეობს კვლევა, რომელიც ეხება ღეროვანი უჯრედების იზოლაციას, კულტივირებასა და მათ გამოყენებას როგორც ექსპერიმენტში ცხოველებზე, ასევე კლინიკურ პრაქტიკაში.

დეპარტამენტს გააჩნია სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გამოცდილება. მათ შორის არიან: ალბერტ ეინშტეინის სამედიცინო კოლეჯი, იეშივას უნივერსიტეტი (ნიუ იორკი, აშშ), რაისის უნივერსიტეტი (ჰიუსტონი, აშშ), დიაბეტის კვლევის ცენტრი (მაიამი, აშშ), კოლორადო თერაპევტიქსი (დენვერი, აშშ). სხვადასხვა წლებში, ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდების მიერ დაფინანსებული იყო ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტის თანამშრომლების 4 პროექტი.

2016 წელს, დეპარტამენტის დოქტორანტის მიერ მოპოვებული იყო დაფინანსება სადოქტორო პროგრამების ფარგლებში: „პლაცენტის ჭიპლარის არტერიისაგან სამგანზომილებიანი მატრიქსის შექმნა და მისი გამოყენება ატრეზიის ქირურგიაში“ (დოქტორანტი კ. ჩახუნაშვილი, ხელმძღვანელი ზ. კაკაბაძე). დამფინანსებელი: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. 2016–2018 წწ.

აკადემიური პერსონალის მიერ, 2018 წლამდე, გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომები 27 საერთაშორისო და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში და მოპოვებული აქვთ 4 საერთაშორისო პატენტი.

2004 წელს, ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტის თანამშრომლები იყვნენ პირველი ქართველი მეცნიერები, რომლებმაც გამოაქვეყნეს სამეცნიერო სტატია ჟურნალ „Nature Medicine“–ში. იმ წელს, ჟურნალ „Nature Medicine“– ის იმპაქტ–ფაქტორი შეადგენდა 29. 886–ს.

Joseph B, Berishvili E, Benten D, Kumaran V, Liponava E, Bhargava K, Palestro C, Kakabadze Z, Gupta S. Isolated small intestinal segments support auxiliary livers with maintenance of hepatic functions. Nature Medicine. 2004 Jul;10(7):749-53.

2017 წლის 6 დეკემბერს, ჟურნალში “Hepatology” გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და პრეკლინიკური ანატომიის დეპარტამენტისა და იეშივას უნივერსიტეტის (ნიუ იორკი, აშშ) თანამშრომლების ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომი: Kakabadze Z, Kakabadze A, Chakhunashvili D, Karalashvili L, Berishvili E, Sharma Y, Gupta S. Decellularized human placenta supports hepatic tissue and allows rescue in acute liver failure. Hepatology. 2017 Dec 6.

ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ, ახალი ამბების საერთაშორისო სააგენტო “Reuters”-მა მიუძღვნა ვრცელი სტატია ქართველი და ამერიკელი მეცნიერების მიერ შემუშავებულ კონცეფციას, რომელიც ეხებოდა ღვიძლის მწვავე უკმარისობის მკურნალობის ახალ ხედვას. “Reuters”–ში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ მრავალი ქვეყნის სხვადასხვა სამედიცინო ჟურნალ-გაზეთში ფართო გამოხმაურება ჰპოვა.